

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
 ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული
 მეცნიერებების დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრა

კათედრის შემადგენლობა: პროფ. გია სირბილაძე (კათედრის გამგე), ემერიტუს პროფ. რიჩარდ მეგრელიშვილი, ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე, ასოც. პროფ. ტარიელ ხვედელიძე, ასოც. პროფ. ფრიდონ დვალიშვილი, ასოც. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი, ასისტ. პროფ. გელა ბესიაშვილი, ასისტ. პროფ. ბიძინა მაცაბერიძე, დოქტორანტები: მელქისედექ ჯინჯიხაძე, ოთარ ბადაგაძე, გვანცა წულაია, დავით მიქაძე; მოწვეული პირები: ასოც. პროფ. ბეჟან ღვაბერიძე, ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი, ასოც. პროფ. ბიძინა მიდოდაშვილი, ასოც. პროფ. ანა სიხარულიძე, ინჟინერი გურამ მგელაძე.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ახალი აგრეგირების ოპერატორები მრავალკრიტერიუმისანი ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მეთოდებში ინტუიციონისტური და მაღალი q-რანგის ორთოწყვილური ფაზი - გარემოებებისთვის	2016-მიმდინარე	პროფ. გია სირბილაძე (ხელმძღვანელი); მკვლევარები: მოწვეული პროფ. ანა სიხარულიძე, ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი, ასოც. პროფ. ბიძინა მიდოდაშვილი, დოქტორანტები: ოთარ ბადაგაძე, გვანცა წულაია, დავით მიქაძე, მაგისტრანტები
2	აპლიკანტის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპის დამდგენი საინფორმაციო სისტემის აგება ფაზი-ინფორმაციული ტექნოლოგიებით	2018-მიმდინარე	ასოც. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი (ხელმძღვანელი), მაგისტრანტი: ირაკლი გოცირიძე

3	<p style="text-align: center;">დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების ეკონომიკური რისკისა და განუზღვრელობის მოდელირება</p>	<p style="text-align: center;">2018-მიმდინარე</p>	<p style="text-align: center;">ასოც. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი (ხელმძღვანელი), მაგისტრანტი: გოჩა ხორავა</p>
4	<p style="text-align: center;">ტროპიკული კრიპტოგრაფია და ორიგინალური მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის სინთეზი და თანამედროვე ინოვაციური განხორციელება</p>	<p style="text-align: center;">2013-მიმდინარე</p>	<p>პროფესორი ემერიტუსი რიჩარდ მეგრელიშვილი (თემის ხელმძღვანელი , ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ვებგვერდი: Crypto.ge), მეცნიერებათა დოქტორი სოფიო შენგელია, დოქტორანტი მელქისედეგ ჯინჯიხაძე, მაგისტრი ლევან ბუზალაძე</p>
<p>1. გრძელდება მუშაობა ამ თემის მიმართულებით. წელს განიხილებოდა ახალი აგრეგირების ოპერატორების აგების საკითხები მრავალკრიტერიუმიანი ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების ამოცანებში მაღალი q, $q>1$(არაინტუციონისტური)-რანგის ორთოწყვილური ფაზი - გარემოებისთვის. კვლევა შედის ძირეულ, გადამწყვეტ ფაზაში.</p> <p>ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების რთულ ამოცანებში, განუზღვრელ პირობებში, როდესაც ობიექტური მონაცემები არასაკმარისია ან საერთოდ არ არსებობს და არსებული მონაცემები მხოლოდ ექსპერტული ბუნებისაა, ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იქნება შემდეგი ორი პოლუსით: ერთი მხრივ ეს არის ფაზი-უზუსტობის კატეგორიები: ფაზი-სიმრავლეები, ფაზი-რიცხვები, ფაზი-მიმართებები, ხოლო მეორე მხრივ ეს არის ფაზი-განუზღვრელობის ზომები, როგორცაა: შესაძლებლობითი ზომები, დემპსტერ-შეიფერის ნდობის სტრუქტურა. ალბათური ზომები, სუჯენოს λ ზომები და სხვა. კათედრაზე, სემინარული მუშაობის ფარგლებში დავამუშავეთ ინტუციონისტური და უფრო მაღალი q, $q>1$(არაინტუციონისტური)-რანგის ორთოწყვილური ფაზი - გარემოებისთვის აგრეგირების ოპერატორების აგების ამოცანები. გავიარეთ მათი იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის საკითხები. შემუშავდა მეთოდები აგრეგირების ოპერატორების ინდიკატორების საფუძვლიანი შესაწავლისთვის.</p> <p>კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე შეიქმნა წინა პირობა ახალი აგრეგირების ოპერატორების ასაგებად $q>1$(არაინტუციონისტური)-რანგის ორთოწყვილური ფაზი-გარემოში. გამოყენებულია დღევანდელ დღეს გადაწყვეტილების მიღების აგრეგირების ინსტრუმენტებიდან გამორჩეული შოკეს ინტეგრალური და OWA-ს ტიპის ოპერატორები, რომლებიც ხშირ შემთხვევებში აგრეგირებას უკეთებენ ობიექტურ განუზღვრელ, ალბათურ გარემოს. ჩვენს მიერ განვითარებულია შოკეს-ს ტიპის ახალი განზოგადოებები, როდესაც განუზღვრელობის და უზუსტობის პოლუსები წარმოდგენილია $q>1$-რანგის ორთოწყვილური ფაზი-გარემოში. განიხილება შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილების ატრიბუტებს შორის ურთიერთქმედება მაღალი ხარისხითაა წარმოდგენილი, როდესაც კლასიკური, შოკეს ინტეგრალის ტიპის აგრეგირების ოპერატორები ვეღარ იძლევიან დამაკმაყოფილებელ შედეგებს გადაწყვეტილების ალტერნატივების რანჟირების ამოცანებში. აქ მნიშვნელოვანი ხდება ატრიბუტებს შორის ყველა შესაძლო ურთიერთქმედების ინდექსებისა და ატრიბუტების მნიშვნელოვნების ხარისხების (შეიფლის ინდექსების) გათვალისწინება აგრეგირების მეორე პოლუსში - განუზღვრელობის ზომაში. ანუ საჭიროა განუზღვრელობის ზომის (ჩვენს შემთხვევაში), მონოტონური ზომის იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტა K-რიგის ადიციურ ზომებში. ჩვენს ეს გადაწყვეტით K =2 -ის შემთხვევაში, სადაც გათვალისწინებულია ყველა წყვილური ურთიერთქმედება. აგრეგირების მეორე პოლუსის სიდიდეები, ექსპერტული შეფასებები კი წარმოდგენილია ზოგადი $q>1$(არაინტუციონისტური)-რანგის ორთოწყვილებით.</p>			

ზემოდ წარმოდგენილი ამოცანის რეალიზაციის ბაზაზე კონკრეტული პრობლემატიკისთვის, პროექტებისთვის შეიქმნა გადაწყვეტილების მიღების მრავალკრიტერიუმისანი მოდელირება თავისი პროგრამული უზრუნველყოფით. გამოყენებული იქნა კონსტრუირებული აგრეგირების ოპერატორები. გაკეთდა რიცხვითი გამოთვლები სხვა ცნობილი აგრეგირების ინსტრუმენტებთან შედარების მიზანით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი აგრეგირებები წარმოადგენს სანდო და აქტუალურ ინსტრუმენტს, როცა ფაქტორებზე მონაცემები მხოლოდ ექსპერტული ბუნებისაა და აგრეგირებებში გამოყენებულია არასრული ექსპერტული ინფორმაციის ორივე პოლუსი – განუზღვრელობა და უზუსტობა. ახალი აგრეგირებით გამოთვლილმა სკალარულმა სიდიდეებმა ჯგუფური მრავალკრიტერიუმისანი მოდელების ალტერნატივების ოპტიმალური არჩევისა და რანჟირების შესაძლებლობა მოგვცა. ცხადია, რანჟირება გულისხმობს ალტერნატივების დალაგებას საუკეთესოდან უარესი გადაწყვეტილებისკენ. მიღებულ შედეგებზე მოვამზადეთ სტატიები, რომლებიც დასაბეჭდად წარვადგინეთ მაღალ რეიტინგულ (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) საერთაშორისო ჟურნალებში - Journal of Intelligent & Fuzzy Systems, European Journal of Operational Research, International Journal of Intelligent Systems:

1. **G. Sirbiladze, B. Ghvaberidze, B. Matsaberidze and B. Midodashvili**, New fuzzy approach to facility location problem for extreme environment, Journal of Intelligent & Fuzzy Systems (2018 – presented for the publication).
2. **J. Kacprzyk, G. Sirbiladze, B. Ghvaberidze and B. Matsaberidze**, Fuzzy Probability Aggregations in Multi-Objective Emergency Service Facility Location Problem, European Journal of Operational Research (2018 – presented for the publication).
3. **G. Sirbiladze**, Associated Probabilities' Aggregations in MADM for q-Rung Orthopair Fuzzy Discrimination Environment, International Journal of Intelligent Systems (2018 – presented for the publication).

2. თანამედროვე ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ძალიან სწრაფად დრამატულად შეცვალა ცოდნის გავრცელების პროცესი. e-სწავლების სისტემების პოპულარობა დღითიდღე იზრდება და სულ უფრო მეტი მკვლევარი ამხვილებს ყურადღებას მათი დროისა და ფინანსური რესურსების დამზოგავ ეფექტურობაზე. ამის მისაღწევად კი საჭიროა თრეინინგის/წვრთნის სცენარის მორგება თითოეულ მოსწავლე-სტაჟიორზე. საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ერთ-ერთი ამოცანაა თრეინინგის პროცესის ინტენსიფიკაცია, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული ინსტრუმენტების (ICTE - ის) სხვადასხვა და წარმატებული ინსტრუმენტების გამოყენებით. დღეისათვის ხდება საკლასო ოთახში ტრადიციული სწავლის პროცესის გადასვლა ონლაინ თრეინინგსა და კონსულტაციაზე. თუმცა ხშირად არ ექცევა ყურადღება იმას, რომ ადამიანებს ინფორმაციის სხვადასხვა აღქმა გააჩნიათ. ეს განსხვავება არა მარტო ვიზუალური ან სმენითია, არამედ უკავშირდება აგრეთვე სასწავლო ნივთების ფერსა და პრეზენტაციის სიჩქარეს. თრეინინგის სისტემამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის - სტაჟიორის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპი.

აპლიკანტის ტემპერამენტის ტიპის შესაგნობად ტრადიციულად გამოიყენება ტესტირება. ტრადიციული ტესტებიდან - კითხვარებიდან ცალკე არსებობს სხვა ტიპის ტესტები: ხატვის, ფერების, გეომეტრიული ფიგურების, სურათების, კარტის თამაშის, რიცხვების, სცენარის, ხელნაწერის ანალიზის, ხაზვის და სხვა ტესტები. ასეთი სახის ტესტების განსაკუთრებული უპირატესობაა ის, რომ ისინი უფრო ქვეცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს ეყრდნობა და ამიტომ უფრო თავისუფალია მანიპულირებისაგან, თანაც მნიშვნელოვნად ნაკლებ დროს მოითხოვენ და განწყობაზეც ნაკლებად არიან დამოკიდებული.

ჩვენი ამოცანაა რამოდენიმე ასეთი სხვა ტიპის ტესტის კომბინაციით და სუბიექტური ინფორმაციის წარმოდგენისა და დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შევქმნათ მოკლე, სწრაფი და მანიპულირების შესაძლებლობებიდან თავისუფალი ტესტი-პროგრამული სისტემა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას დაგვედგინა აპლიკანტის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპი ელექტრონული სწავლების თუ სხვა საჭიროებისათვის.

შერჩეული იქნა პარამეტრები, რომლებიც გამოყენებული იქნება აპლიკანტის ტემპერამენტის ტიპის შესაგნობად: ფერი, ფიგურები, აქტივობა და დევიზი. მოხდა ამ პარამეტრების ფაზიფიკაცია. როგორც დელინჯერის ნაშრომებიდან ჩანს, გამომავალი ცვლადი წარმოადგენს ერთი ძირითადი ხასიათისა (ტემპერამენტის) და ერთი მეორადი ხასიათის (ტემპერამენტის) სიმრავლეს. რადგან ჩვენს შემთხვევაში შემავალი ცვლადები არამკაფიო ცვლადებია, გამომავალი ცვლადი იქნება 5 - ტემპერამენტის სიმრავლეზე განსაზღვრული არამკაფიო სიმრავლე, ანუ ტემპერამენტების გამომავალი არამკაფიო სიმრავლე ზოგადად შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$\mu_1 R_1 + \mu_2 R_2$$

სადაც μ_1 არის პირველადი ხასიათის (ტემპერამენტის) დასაჯერებლობის დონე, ხოლო R_1 არის პირველადი ხასიათის (ტემპერამენტის) მნიშვნელობა, ხოლო μ_2 არის მეორადი ხასიათის (ტემპერამენტის) დასაჯერებლობის დონე, შესაბამისად R_2 არის მეორადი ხასიათის (ტემპერამენტის) მნიშვნელობა. შექმნილია ალგორითმი, რომლითაც შემავალი ცვლადების მნიშვნელობების მიხედვით პირველადი და მეორადი ხასიათის (ტემპერამენტის) მნიშვნელობების დადგენა კონკრეტული აპლიკანტისათვის ზემოთ ჩამოთვლილი 5 ტემპერამენტის სიიდან, ასევე მათი მიკუთვნების მნიშვნელობების გამოთვლა შემავალი ცვლადების მიკუთვნების მნიშვნელობებიდან. მიმდინარეობს პროგრამული სისტემის შექმნა, რომელიც ამ ალგორითმის რეალიზაციას მოახდენს. სისტემის განთავსება გათვალისწინებულია ინტერნეტში ფაკულტეტის საიტზე, სადაც ყველა მსურველს ექნება საშუალება თვითონვე განსაზღვროს თავისი ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპი. პარალელურად მზადდება სამეცნიერო სტატია მაღალი რეიტინგის საზღვარგარეთულ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

3. წელსვე მაგისტრანტებთან ერთად უკვე დაიწყო მუშაობა ამ ახალ პროექტზე. იმის გამო, რომ ხშირად მნიშვნელოვნად ხდება დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების თავდაპირველი ბიუჯეტების გადაჭარბება, შემუშავებული იქნა

<p>ასეთი პროექტების ბიუჯეტების შედგენის, რისკებისა და განუზღვრელობის მართვის მიმართ ახალი მოთხოვნები. შექმნილია შესაბამისი დანახარჯების მოდელიც, რომელიც საშუალებას იძლევა თვალყურით ვადევნოთ განუზღვრელ შედეგებს, რომლებიც გამოწვეულია სარისკო ხდომილებებით ერთეულ საქონელზე ფასის, ასევე რაოდენობის თვალსაზრისით, რაც ცვლის ღონისძიებების ღირებულებას და საბოლოოდ პროექტის საერთო ღირებულებას. ჩვენი ამოცანაა ანალოგიური მოდელი შევქმნათ ფაზი მიდგომების საფუძველზე, რომელიც უფრო ადეკვატური იქნება შინაგანი განუზღვრელობის არსებობის გამო. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საჭირო პარამეტრების დადგენასა და მათ ფაზიფიკაციაზე.</p>				
<p>4. 2018 წელს სამუშაოს შედეგები გამოქვეყნდა საერთაშორისო კონფერენციაზე ქ. ვინიცაში. შედეგები დაკავშირებულია სისრაფესთან, რადგან 2013 წელს მიღებული შედეგი ცალმხრივი ფუნქციისა შედარებით სწრაფია რიცხვთა თეორიაში არსებულ ცალმხრივ ფუნქციების გამოყენებით მიღებულ მართლაც საკვირველ დიფი-ჰელმანისა და RSA ალგორითმებთან შედარებით. დიფი-ჰელმანისა და RSA ალგორითმები მართლაც «საკვირველია», იმ გაგებით, რომ ისეთი მეცნიერებების დარგში, როგორც კრიპტოგრაფიაა, რომელიც სათავეს იღებს დაახლოებით, მაშინ, როდესაც ადამიანებს შორის ჩამოყალიბდა ენობრივი ურთიერთობები და, ამის შემდეგ მოდის უცვლელი ორი არხით – ღია და საიდუმლო, მხოლოდ 1976 წელს ის უარჰყოფს ერთ-ერთ არხს და კმაყოფილდება მხოლოდ ღია არხით და სათანადო ცლილებებით. მხოლოდ 1976 წელს დაშიფრული ინფორმაცია და გასაღებიც იგზავნება ღია არხით და ეს ყოველივე გასაღების გატეხვის შესაძლებლობას არ ქმნის. ყოველივე ეს ეფუძნება რიცხვთა თეორიის ორ ცალმხრივ ფუნქციას: $a^x=y(mod p)$ და ეილერის თეორემას, რომელიც წარმოადგენს ფერმას მცირე თეორემის განზოგადებას. პირველს მიაგნეს დიფი და ჰელმანმა, ხოლო მეორეს (პირველის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ), 1977 წელს RSA-ს ავტორებმა. მას შემდეგ გავიდა 42 წ. აქტიურების პერიოდი დამთავრდა. ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერებმა დაიწყეს ფიქრი იმის შესახებ, რომ თავად შექმნან ახალი ცალმხრივ მიმართული ფუნქცია. ამის მაგალითს წარმოადგენს 2013 წელს გამოქვეყნებული მატრიცული ფუნქცია, რომელიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და ჟურნალებში, გაუტეხავია (გამოუქვეყნებელი, შესაძლოა; ამის მაგალითი გვაქვს კრიპტოგრაფიაში).</p>				
<table border="1"> <tr> <td data-bbox="148 896 231 1064">5</td> <td data-bbox="231 896 646 1064"> <p>ახალი ბლოკური ალგორითმის შესაქმნელად ჰილის მოდიფიცირებული ალგორითმის გამოყენებით.</p> </td> <td data-bbox="646 896 1045 1064"> <p>2017-მიმდინარე</p> </td> <td data-bbox="1045 896 1495 1064"> <p>ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე (ხელმძღვანელი), მაგისტრანტები</p> </td> </tr> </table>	5	<p>ახალი ბლოკური ალგორითმის შესაქმნელად ჰილის მოდიფიცირებული ალგორითმის გამოყენებით.</p>	<p>2017-მიმდინარე</p>	<p>ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე (ხელმძღვანელი), მაგისტრანტები</p>
5	<p>ახალი ბლოკური ალგორითმის შესაქმნელად ჰილის მოდიფიცირებული ალგორითმის გამოყენებით.</p>	<p>2017-მიმდინარე</p>	<p>ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე (ხელმძღვანელი), მაგისტრანტები</p>	
<p>2018 წელს გრძელდებოდა მუშაობა ახალი ბლოკური ალგორითმის შესაქმნელად ჰილის მოდიფიცირებული ალგორითმის გამოყენებით.</p> <p>როგორც ცნობილია, თანამედროვე ბლოკური ალგორითმები ძალიან ხშირად არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც არქიტექტურით, ასევე გამოყენებული ოპერაციებით და რაუნდების რაოდენობებით, მაგრამ მათი მუშაობის შედეგი ყოველთვის ერთი და იგივეა, საწყისი n სიგრძის ბიტური სტრიქონი, რომლის სტრუქტურაც განსაზღვრულია ღია ტექსტით, k სიგრძის გასაღებისა და გარკვეული ოპერაციების გამოყენებით, მრავალჯერადი იტერაციის შემდეგ გადადის ისევ n სიგრძის ფსევდომშემთხვევით ბიტურ სტრიქონში. ფაქტობრივად, მათემატიკურად ნებისმიერი ბლოკური ალგორითმი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ორ ცვლადზე დამოკიდებული ფუნქცია</p> $E : \{0,1\}^n \times \{0,1\}^k \rightarrow \{0,1\}^n$ <p>სადაც $\{0,1\}^l$ აღნიშნავს l სიგრძის ბიტურ სტრიქონს. k-ს და n-ს მნიშვნელობები კი დამოკიდებულია დაშიფვრის კონკრეტულ ალგორითმზე.</p> <p>პრაქტიკულად, თითოეული ფიქსირებული $K \in \{0,1\}^k$-თვის დაშიფვრის ფუნქცია წარმოადგენს გადანაცვლებას $\{0,1\}^n$-ზე. როგორც ვიცით, კ. შენონმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში [4] აჩვენა, რომ არსებობს ასეთი ტიპის ერთადერთი თეორიულად გაუტეხავი სიმეტრიული შიფრი (ერთჯერადი ბლოკნოტი), რომლის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების შესრულება: გასაღების სიგრძე აუცილებლად უნდა იყოს ღია ტექსტის სიგრძის ტოლი, გასაღები უნდა წარმოადგენდეს აბსოლუტურად შემთხვევით მიმდევრობას და გასაღები უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ერთხელ (ამიტომ უწოდეს ამ შიფრს ერთჯერადი ბლოკნოტი). ცხადია, რომ ასეთი შიფრის გამოყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში ძალიან მოუხერხებელია, ამიტომ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება სიმეტრიული ალგორითმები, რომლებიც მხოლოდ გამოთვლადად მედეგია კრიპტოანალიზური შეტევების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ თუ მოწინააღმდეგეს გააჩნია შემოუსაზღვრავი შესაძლებლობები, მას ყოველთვის შეუძლია გატეხოს ასეთი შიფრები, მაგრამ პრაქტიკაში არ არსებობს შემოუსაზღვრავი შესაძლებლობების მქონე მოწინააღმდეგე. აქედან გამომდინარე ალგორითმის უსაფრთხოების დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ვიპოვოთ რაოდენობრივი თანაფარდობები მოწინააღმდეგის შესაძლებლობებსა და შიფრის მედეგობას შორის, რაც მოგვცემს საშუალებას რაოდენობრივად შევაფასოთ სიმეტრიული შიფრების უსაფრთხოება კრიპტოანალიზური შეტევების მიმართ.</p>				

იმისათვის, რომ დაშიფვრის შემდეგ მიღებული ფსევდოშემთხვევითი ბიტური სტრიქონი რაც შეიძლება ახლოს იყოს ნამდვილად შემთხვევით ბიტურ სტრიქონთან, თანამედროვე ბლოკურ შიფრებში ყოველთვის გამოიყენება იტერაცია, ანუ ერთი და იგივე ბლოკი რამდენჯერმე იშიფრება სხვადასხვა გასაღებების გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა გამოსასვლელი შიფროტექსტის დაშიფვრაში მონაწილეობა მიიღოს ღია ტექსტის მაქსიმალური რაოდენობის ბიტებმა, ეს კი საშუალებას იძლევა შიფროტექსტში დავმალოთ ღია ტექსტის სტრუქტურა. ცხადია, რომ ერთი და იგივე პროცედურების გამეორება დასაშიფრ ტექსტზე ზრდის დაშიფვრის დროს, ამიტომ რაც უფრო კარგი ოპერაციები გვექნება ერთ რაუნდში ამ მიზნის მისაღწევად, მით უფრო სწრაფი იქნება ჩვენი ალგორითმი.

ჯერ კიდევ 1930 წელს, ამერიკელმა მათემატიკოსმა ლ. ჰილმა განავითარა რა მანამდე არსებული ბიგრამული და ტრიგრამული შიფრები და შემოიტანა n -გრამული დაშიფვრა წრფივი ალგებრის საშუალებით [6]. ალგორითმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც ეს კლასიკურ კრიპტოგრაფიაში მიღებული, დასაშიფრი ტექსტის ასოები გადაყავთ რიცხვებში. ამ რიცხვებს დაყოფენ ვექტორებად და შემდეგ ხდება ამ ვექტორების გამრავლება $n \times n$ კვადრატულ მატრიცაზე მოდულით n , სადაც n არის სიმბოლოების რაოდენობა იმ ენაში, რომელზედაც შედგენილია ღია ტექსტი. მატრიცას, რომელიც წარმოადგენს ამ ალგორითმის გასაღებს, აუცილებლად უნდა გააჩნდეს შებრუნებული მატრიცა. მარტო შიფროტექსტით შეტევა ამ ალგორითმზე არც ისე ადვილია, მაგრამ შეტევა ღია ტექსტით ძალიან ადვილია, რადგანაც გარდაქმნა არის წრფივი, და თუ მატრიცის ზომებია $n \times n$ -ზე, მაშინ საჭიროა სულ მხოლოდ n^2 ზომის წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნა, რათა ზუსტად გამოვთვალოთ გასაღები. ამ მიზეზების გამო, დიდი ხნის განმავლობაში ჰილის ალგორითმი აღარ გამოიყენებოდა კომპიუტერულ კრიპტოგრაფიაში, მიუხედავად იმისა, რომ მატრიცაზე გამრავლების ოპერაციას აქვს დიფუზიის ძალიან კარგი უნარი. ბოლო წლების განმავლობაში გაჩნდა შრომები [7,8,9], რომელთა ავტორებიც ცდილობენ კვლავ გამოიყენონ ჰილის ალგორითმის სხვადასხვა ვარიანტები, სწორედ ამ თვისების გამო.

სტატიაში [10] აღწერილი ჰილის ალგორითმის მოდიფიკაცია შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთ შიფრებში, რომლებშიც დასაშიფრი ბლოკი წარმოიდგინება მდგომარეობათა მატრიცის სახით (როგორც ეს ხდება მაგალითად **AES** სტანდარტში). განვიხილოთ კრიპტოალგორითმი, რომელშიც ბლოკის ზომა ტოლია 128 ბიტის. ალგორითმში ეს ბლოკი შეგვიძლია წარმოვადგინოთ 4×4 მატრიცის საშუალებით, რომელსაც უწოდებენ მდგომარეობათა მატრიცას.

$$M = \begin{pmatrix} a_{11} & a_{12} & a_{13} & a_{14} \\ a_{21} & a_{22} & a_{23} & a_{24} \\ a_{31} & a_{32} & a_{33} & a_{34} \\ a_{41} & a_{42} & a_{43} & a_{44} \end{pmatrix}$$

აქ თითოეული a_{ij} წარმოადგენს ორობით ბაიტს. დასაშიფრი ორობითი სტრიქონი ჩაიწერება მატრიცაში მარცხნიდან მარჯვნივ ჰორიზონტალურად და ზევიდან ქვევით. თუ გადავიყვანთ თითოეულ ბაიტს ათობით სისტემაში, ნებისმიერი a_{ij} ელემენტისთვის შესრულდება პირობა $0 \leq a_{ij} \leq 255$. ჩვენს მიერ მოდიფიცირებული ალგორითმში ხდება ამ მატრიცის გამრავლება 4×4 -ზე განზომილების თვითშებრუნებად A მატრიცაზე მოდულით 256.


$$M \times A \pmod{256},$$

თავისთავად ცხადია, რომ მატრიცის მატრიცაზე გამრავლება აღარ წარმოადგენს ისეთ მარტივ ოპერაციას, როგორცაა გადანაცვლება ან ჩანაცვლება, ამან კი შეიძლება არსებითად იმოქმედოს ალგორითმის სისწრაფეზე. იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ალგორითმის სწრაფქმედება დასაშვებ ფარგლებში, A მატრიცის ელემენტები უნდა იყოს რაც შეიძლება პატარა რიცხვები. ასეთ შემთხვევაში კი შესაძლებელია, რომ A^{-1} მატრიცის ელემენტები იყოს დიდი რიცხვები, რაც გაზრდის დეშიფრაციის დროს, რაც ასევე არაა სასურველი. ამ მიზეზების გათვალისწინებით ჩვენ შევარჩიეთ თვითშებრუნებადი მატრიცა

$$A = \begin{pmatrix} 2 & -1 & -2 & 2 \\ -1 & -2 & -2 & -2 \\ 1 & 1 & 1 & 2 \\ -1 & 1 & 2 & -1 \end{pmatrix},$$

რომლის ელემენტებია მხოლოდ ± 1 და ± 2 რიცხვები, რაც ძალიან ამარტივებს მატრიცის მატრიცაზე გამრავლების ოპერაციას (გავიხსენოთ, რომ ორობით სისტემაში ორზე გამრავლება ტოლფასია ათობით სისტემაში ათზე გამრავლების). ის ფაქტი, რომ ასეთ მატრიცაზე გამრავლების შედეგად მდგომარეობათა მატრიცაში მივიღებთ უარყოფით რიცხვებს, არ წარმოადგენს პრობლემას, რადგანაც გამოთვლები წარმოებს მოდულის გამოყენებით.

როგორც ნაჩვენებია ავტორთა მიერ შესრულებულ შრომებში [11,12,13], მოდიფიცირებული ალგორითმი ინარჩუნებს ჰილის ალგორითმის ძირითად თვისებას, გამოსასვლელი ერთი ბიტის გამოთვლაში მონაწილეობა მიიღოს შესასვლელი ტექსტის მაქსიმალური რაოდენობის ბიტებმა.



სურ. 1.

ახალი ბლოკური ალგორითმი მუშაობს 128 ბიტის სიგრძის ბლოკებთან და იყენებს 256 ბიტის გასაღებს. სურ. 1. მოყვანილია ახალი ბლოკური, ალგორითმის სქემა. როგორც ამ სქემიდან ჩანს, რაუნდში შესვლამდე ხდება საწყისი გასაღების პირველი (უფროსი) 128 ბიტის და ლია ტექსტი შეკრება ოპერაცია XOR-ის გამოყენებით, ანუ ხდება ტექსტის „გათეთრება“. ამ ოპერაციის შემდეგ მიღებული 128 ბიტი შედის პირველ რაუნდში დასამუშავებლად.

პირველი რაუნდული ოპერაციაა მიღებული ტექსტის XOR-ით შეკრება ამ შეკრების შედეგად მიღებული 128 ბიტის ტექსტი გარდაიქმნება მატრიცად 4×4 და ხდება მისი გამრავლება თვითშებრუნებად მატრიცაზე. მიღებული მატრიცა კვლავ გარდაიქმნება 128 ბიტის სტრიქონად და შეიკრიბება რაუნდულ გასაღებთან.

რაუნდული გასაღებების გამომუშავება ხდება ჰილის მოდიფიცირებული ალგორითმის გამოყენებით. საწყისი გასაღები ჩაიწერება მატრიცის სახით და გამრავლდება მატრიცაზე 4×4 -ზე. ეს წარმოადგენს პირველი რაუნდის გასაღებს. შემდეგი რაუნდების გასაღებების გამოთვლაში მონაწილეობს წინა რაუნდის გასაღები.

განვიხილოთ ალგორითმის მუშაობის მაგალითი. მოცემული გვაქვს ფრაზა: “domainparameters” (სიმარტივისთვის გამოტოვებულია სიტყვებს შორის ჰარი). გადავიყვანოთ ეს ფრაზა ASPII ორობით კოდებში:

01100100 01101111 01101101 01100001 01101001 01101110 01110000 01100001 01110010 01100001
 01101101 01100101 01110100 01100101 01110010 01110011
 პირველი გასაღებია
 01000000 01111010 01011001 01000010 01000011 01111000 01010111 01100100 01000101 01110110
 01010101 01100110 01000111 01101010 01010001 01101000

გასაღებთან შეკრების დ თითოეული ბაიტის ათობით რიცხვში გადაყვანის შემდეგ მივიღებთ მატრიცას

$$\begin{pmatrix} 26 & 27 & 52 & 35 \\ 42 & 19 & 39 & 5 \\ 55 & 23 & 54 & 3 \\ 51 & 15 & 33 & 27 \end{pmatrix}$$

გამავრავლოთ მიღებული მატრიცა თვითშებრუნებად მატრიცაზე

$$\begin{pmatrix} 26 & 27 & 52 & 35 \\ 42 & 19 & 39 & 5 \\ 55 & 23 & 54 & 3 \\ 51 & 15 & 33 & 27 \end{pmatrix} \times \begin{pmatrix} 2 & -1 & -2 & 2 \\ -1 & -2 & -2 & -2 \\ 1 & 1 & 1 & 2 \\ -1 & 1 & 2 & -1 \end{pmatrix} \pmod{256} = \begin{pmatrix} 42 & 7 & 16 & 67 \\ 99 & 220 & 183 & 19 \\ 138 & 212 & 160 & 169 \\ 111 & 235 & 221 & 111 \end{pmatrix}$$

აღწერილი ალგორითმი აკმაყოფილებს ყველა იმ თვისებას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე სიმეტრიული ალგორითმებისთვის და არის ძალიან სწრაფი, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ ეს ალგორითმი დიდი მოცულობის ტექსტების დასაშიფრად.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ექსტრემალურ სიტუაციებში ობიექტების განთავსებისა და ტვირთების ტრანსპორტირების დაგეგმვა -STCU-2016-04 ინფორმაციული ტექნოლოგიები, გამოყენებითი მათემატიკა	2017-2018	პროფ. გია სირბილაძე (ხელმძღვანელი); მკვლევარები: ასოც. პროფ. ბეჟან დვაბერიძე, ასისტ. პროფ. ბიძინა მაცაბერიძე, უფრ. მეცნ. თანამშრ.გიორგი ბოლოთაშვილი; ინჟინრები: გურამ მგელაძე, ასისტ. პროფ. ზურამ მოდეზაძე, ევროპელი კოლაბორატორები: პოლონეთის აკადემიის აკადემიკ. ჯანუშ კაქპრზუიკი, ესპანეთის ბასკეთის ქვეყნის უნივერსიტეტის პროფ. რობერტო სანტანა

1.

ა. პროექტის განხორციელების (მიმდინარეობის) მოკლე აღწერა:

სადისტრიბუციო ქსელების ლოჯისტიკაში კანდიდატი ცენტრებისთვის ადგილმდებარეობის შერჩევის ამოცანის გადაწყვეტა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული გზებზე სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების გაზრდილი დროების შემცირებისათვის. ბოლო წლებში, სატრანსპორტო მომსახურების ინტენსივობა ძალიან გაიზარდა და ამან უდავოდ გაართულა ექსტრემალურ გარემოში გადაადგილება. სირთულეების თავიდან ასაცილებლად სადისტრიბუციო ქსელების ლოჯისტიკის მენეჯერები ახორციელებენ მთელ რიგ რეგულაციებს, როგორცაა მიწოდების შეზღუდული დრო, მიწოდების ზონების შექმნა და ა.შ. ამ რეგულაციების დანერგვისას თავს იჩენს ახალი პრობლემები. მაგალითად, თუ სერვის-ცენტრები განთავსებულია დამკვეთის ადგილმდებარეობასთან ახლოს, მაშინ

იზრდება საცობების რაოდენობა ქალაქში. თუ ისინი განთავსებულია დამკვეთისგან შორს, მაშინ მომსახურების ხარჯები იზრდება. ცხადია, რომ ექსტრემალურ გარემოში კანდიდატი ცენტრების ადგილმდებარეობის შერჩევის დაგეგმვა წარმოადგენს კომპლექსურ და რთულ ამოცანას, რომელიც მოიცავს მრავალი ატრიბუტის განხილვას, როგორცაა: მომხმარებლების მაქსიმალური დაფარვა, მინიმალური მომსახურების ხარჯები და სხვა. ამ პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება ობიექტების განთავსებისა და ტვირთების ტრანსპორტირების მრავალკრიტერიუმიანი საოპტიმიზაციო ამოცანები. ობიექტების განთავსება/ტრანსპორტირების ამოცანების გადაწყვეტა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ბოლო დროს გზებზე შექმნილი გართულებული შემდეგი სიტუაციების გამო: 1. ტრანსპორტით გადატვირთული გზები; 2. ექსტრემალური მოვლენები, როგორცაა: კატასტროფები, მიწისძვრები, სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული გზებზე ცუდი ხილვადობა და სხვ. ყოველივე ეს ართულებს აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტას, რადგან გზებზე გადაადგილების დრო ცალსახად აღარ განისაზღვრება გადაადგილების მანძილით. ასეთ შემთხვევაში გზებზე სატრანსპორტო საშუალებებით სწრაფი გადაადგილებით უმოკლეს დროში მოთხოვნის წერტილებში (სავაჭრო ცენტრები და სხვ) მოთხოვნების მიწოდების კრიტერიუმთან, ანუ მომსახურების ჯამური დროის მინიმიზაციის ამოცანასთან ერთად ჩნდება ისეთი კრიტერიუმი, როგორცაა მომსახურების კანდიდატი სერვის ცენტრების შერჩევის (საიმედოობის) მაქსიმიზაცია. ამ უკანასკნელის აგება დაკავშირებულია საექსპერტო ცოდნის ფორმირებისა და ინჟინერიის მეთოდებთან და ტექნოლოგიებთან. ეს ორივე მიზნობრივი ფუნქცია წარმოშობს განთავსება/ტრანსპორტირების ბიკრიტერიალურ ამოცანას.

კარგადაა შესწავლილი კლასიკური განთავსებისა და ტრანსპორტირების ამოცანები, რომლებიც, სტაციონარული პირობების შეზღუდვებში ძირითადად სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების მიმსახურების ცენტრებიდან მოთხოვნის წერტილებში გადაადგილების ჯამური დროის მინიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტას გულისხმობს. ამოცანა დისკრეტული ოპტიმიზაციის ამოცანათა კლასს მიეკუთვნება და NP -სირთულისაა. დიდი განზომილებების შემთხვევაში მის გადასაწყვეტად შექმნილია ევრისტიკული თუ სხვა ტიპის მიახლოებითი მიდგომები. პროექტში წარმოდგენილი ამოცანის რეალიზაციისთვის ჩვენს მიერ შეიქმნა -განთავსება/ტრანსპორტირების ამოცანის გადაწყვეტის ახალი ფაზი-მიდგომა. საექსპერტო მონაცემების ბაზაზე შექმნილი მეთოდოლოგია დაფუძნებულია შესაძლებლობის თეორიის ბოლო შედეგებზე.

წარმოდგენილია ამ ამოცანის რეალიზაციის ორ-ეტაპიანი სქემა.

პირველ ეტაპზე ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ სერვის-ცენტრების განთავსების დაგეგმვის ამოცანაზე და მრავალატრიბუტული გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგიაზე განუზღვრულ და ექსტრემალურ გარემოში. ამისთვის აიგო ფაზი-მრავალატრიბუტული, ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მეთოდი სერვის-ცენტრების ადგილმდებარეობის ამორჩევის მიზნით, რომლისთვისაც გამოვიყენეთ ფაზი-აგრეგირების ოპერატორების მეთოდოლოგია. ექსპერტული შეფასებების ფორმირება კანდიდატი ცენტრების ატრიბუტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა ცენტრების ამორჩევის პრობლემატიკაში.

პირველ ეტაპზე კონსტრუქციული მიდგომით გადაწყვეტილების მიღების მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ძირითადი სამი ბიჯის სახით:

ბიჯი 1: ატრიბუტების შერჩევა. მოიცავს იმ ატრიბუტების შერჩევას, რომლების განსაზღვრავენ კანდიდატი ცენტრების პოტენციური შესაძლებლობებს.

ბიჯი 2. კანდიდატი ცენტრების შერჩევა. მოიცავს პოტენციური ადგილმდებარეობის ამორჩევას სერვის-ცენტრების დანერგვისათვის. გადაწყვეტილების მიმღები პირები ეყრდნობიან თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას სატრანსპორტო რეგულაციებთან და პირობებთან მიმართებაში იმისთვის, რომ განსაზღვრონ კანდიდატი ცენტრების ადგილმდებარეობა.

ბიჯი 3: მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების მოდელში ექსპერტული მონაცემები კონდენსირდებიან ეტალონურ გარაწყვეტილების მიღების მატრიცაში. კანდიდატი ცენტრების ადგილმდებარეობის შეფასება ფაზი-აგრეგირების მეთოდოლოგიის გამოყენებით ტარდება. მესამე ბიჯი მოიცავს კანდიდატი ცენტრების ადგილმდებარეობის შეფასებას შერჩევის ინდექსების სახით ატრიბუტებთან (ბიჯი 1) მიმართებაში. ამისთვის ჩვენ ვიყენებთ ალტერნატივების შერჩევის ფაზი-აგრეგირების მიდგომას. აგებულია ახალი სუბიექტური კრიტერიუმი - კანდიდატი სერვის ცენტრების მომსახურებაზე შერჩევის ინდექსის მაქსიმიზაცია. კრიტერიუმის ასაგებად გამოყენებულია შოკეს ინტეგრალის სასრული წარმოდგენა.

მეორე ეტაპზე პროექტში გადაწყვეტილია მინი-მაქს ტიპის ბი-კრიტერიალური განთავსება/ტრანსპორტირების ამოცანა ექსტრემალურ გარემოსთვის. ეს ამოცანა საბოლოოდ გადაწყვეტს ზემოთ ჩამოყალიბებულ ამოცანას. ამ უკანასკნელის რიცხვითი ამოხსნისთვის გამოყენებულია შტოებისა და საზღვრების ზუსტი ალგორითმი.

შექმნილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა სახელწოდებით - ობიექტების განთავსებისა და ტრანსპორტირების ოპტიმალური დაგეგმვის ხელშეწყობი ინტელექტუალური სისტემა -ISS-FLT (Intelligent Support System for facility location and transportation optimal planning). შექმნილია სისტემით სარგებლობის

ინსტრუქცია. ჩატარებულია სისტემის ტესტირება და მისი გამოცდა განსხვავებული ტიპის სამომხმარებლო ქსელებისთვის. ახალი მიდგომის შედეგების შესაფასებლად სისტემა შემოწმდა რიცხვით მაგალითებზე. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ სადისტრიბუციო ქსელებზე განუზღვრელობისა და ექსტრემალური სიტუაციების წარმოშობის პირობებში სისტემის დახმარებით ოპტიმალური განთავსება/ტრანსპორტირების პრობლემის გადაწყვეტის მრჩეველი გარემო დინამიკაში იცვლება იმ ხარისხით, რა ხარისხითაც განუზღვრელობა წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების გზებზე დროული გადაადგილების ხელის შემშლელ ფაქტორს. ალგორითმები და ძირითადი მოდულები დაპროგრამდა .Net ტექნოლოგიის გამოყენებით, C# დაპროგრამების ენაზე. ბოლო ეტაპზე შეიქმნა პროგრამული ბიბლიოთეკა, რომელიც აერთიანებს ალგორითმის მუშაობისთვის საჭირო მონაცემთა სტრუქტურებს და ფუნქციებს

ბ. პროექტის შედეგი და ეფექტი:

თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო პრობლემური ხდება სატრანსპორტო საშუალებების (სს) მარშრუტებზე ოპტიმალური გადაადგილება, რომელიც ართულებს სადისტრიბუციო ქსელებში მომსახურების ცენტრებიდან მომხარებლებამდე ტვირთების გადაზიდვის მენეჯმენტს. ეს განსაკუთრებით მაღალი ხარისხით შეიმჩნევა ექსტრემალური და გართულებული პროცესების მიმდინარეობის პირობებში. ესენია: 1. კატასტროფების, მიწისძვრების, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შედეგად და სხვ. დაზიანებულ გეოგრაფიულ ზონებში არსებული სამხედრო, სამედიცინო და სხვა ტიპის ობიექტების ოპტიმალური და უსაფრთხო მომარაგების მენეჯმენტი; 2. ექსტრემალურ და რთულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირებისა და მოსახლეობისათვის უსაფრთხო დახმარების დაგეგმვა; 3. ექსტრემალურ სიტუაციაში სამხედრო მოქმედებისას სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების გადაზიდვის მარშრუტების სტრატეგიული მენეჯმენტი; 4. მჭიდროდ დასახლებულ გეოგრაფიულ ზონებში (ქალაქები და სხვ.) გზებზე გართულებულ სიტუაციებში ტრანსპორტით გადატვირთული გზები, სამოქალაქო მიტინგები და გაფიცვები, გზებზე მეტეოროლოგიური და სხვა მიზეზებით გამოწვეული ცუდი ხილვადობა, მოყინული გზები და სხვ.) სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ოპტიმალური გადაადგილების მენეჯმენტი და სხვა.

ამ პრობლემატიკით დაინტერესებული სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციები ცდილობენ შექმნან მაღალი სანდოობის ინტელექტუალური ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც გაითვალისწინებენ ექსტრემალურ სიტუაციებში წარმოქმნილ განუზღვრელობებს და მხარდაჭერას გაუკეთებენ სს-ების გადაადგილების ოპტიმალური მარშრუტების დაგეგმვას და და ობიექტების განთავსება/ტრანსპორტირების პრობლემის დაძლევას.

მნიშვნელოვან როლს იძენს პრობლემატიკის გადაწყვეტის სისტემური კვლევა და ანალიზი. აუცილებელი ხდება შეფასებებში და ანალიზში ჩავრთოთ ექსპერტთა ჯგუფები და მათი ცოდნა, რომელთა სუბიექტური მონაცემები მოდელის კონსტრუქციებში წარმოშობს ახალ, სუბიექტურ განუზღვრელობას. მოდელირების კლასიკურ მიმართულებათა პარალელურად მნიშვნელოვანი ხდება სუბიექტური, ფაზი-განუზღვრელობის დაშვება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ექსპერტული ცოდნის ინჟინერიის ფაზი-მეთოდებისა და ფაზი-ლოგიკის გამოყენება, რაც შესაბამისი მაღალი ღირებულების ავტომატიზირებული სისტემებისა და ინტელექტუალური ხელშემწყობი ტექნოლოგიების კონსტრუირებას უზრუნველყოფს.

ასეთი ტიპის პრობლემატიკაზე მუშაობისას დეტერმინისტული თუ სტოქასტური მოდელების ბაზაზე აგებული სიმულაციური მხარდაჭერი ტექნოლოგიები ხშირად ვერ გვაძლევენ სანდო და დამაკმაყოფილებელ შედეგებს საკვლევი ობიექტის სირთულის, წინააღმდეგობრივი, ბუნდოვანი და არასაკმარისი ინფორმაციის ან ობიექტური ინფორმაციის სიმცირის გამო, რაც პირველ რიგში გამოწვეულია მიმდინარე რთული სიტუაციებით. პრობლემატიკის სირთულის ზრდასთან ერთად ჩვენი შესაძლებლობა გავაკეთოთ სანდო დასკვნები საკვლევი ობიექტების მომავალ ქცევაზე, გარკვეულ ზღვრამდე ეშვება, რომლის მიღმაც ინფორმაციის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა სიზუსტე და განსაზღვრელობა, ურთიერთგამომრიცხავი ხდება. მნიშვნელოვან როლს იძენს პრობლემატიკის გადაწყვეტის სისტემური კვლევა და ანალიზი. აუცილებელი ხდება შეფასებებში და ანალიზში ჩავრთოთ ექსპერტთა ჯგუფი (სადისტრიბუციო ქსელის მენეჯერები, დისპეჩერები და სხვ.) და მათი ცოდნა. თუმცა ექსპერტთა სუბიექტური მონაცემები მოდელის კონსტრუქციებში წარმოშობს ახალ, სუბიექტურ განუზღვრელობას. მოდელირების კლასიკურ მიმართულებათა პარალელურად მნიშვნელოვანი ხდება სუბიექტური, „ფაზი“ განუზღვრელობის (fuzzy uncertainty) დაშვება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ექსპერტული ცოდნის ინჟინერიის ფაზი-მეთოდებისა და ფაზი-ლოგიკის გამოყენება, რაც შესაბამისი მაღალი ღირებულების ავტომატიზირებული სისტემებისა და ინტელექტუალური ხელშემწყობი ტექნოლოგიების კონსტრუირებას უზრუნველყოფს.

საქმე გვაქვს ექსტრემალურ პირობებში ობიექტების განთავსება/ტრანსპორტირების ამოცანებთან (Facility Location/Transportation Problems (FLTP)). ეს ამოცანები სკალარული მიზნის ფუნქციის შემთხვევაშიც ე.წ. NP-რთული ამოცანების კატეგორიას განეკუთვნებიან და მათი ამოხსნის ზუსტი ალგორითმები რეალური განზომილებების შემთხვევაში არ არსებობს. განსახილველი ამოცანების კლასი საინტერესოა გამოთვლითი

სამეცნიერო თვალსაზრისითაც. ამ მიმართულებით უკანასკნელი 40 წლის მანძილზე ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს. 1980-იან წლებში დამუშავდა ტვირთების ტრანსპორტირებისა და ობიექტების განთავსების მიახლოებითი ამონახსნების აგების ძირითადი საკითხები.

ამ მიმართულებით პროექტის ავტორთა მიერ გამოქვეყნებულია მრავალი პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე შემდეგ სამეცნიერო ჟურნალებში: *“The European Journal of Operational Research”*, *„ Internationa Journal of General Systems”*, *“Information Sciences”*, *“International Journal of Information Technology & Decision Making”*, *“Fuzzy Optimization and Decision Making”*, *“International Journal of Uncertainty, Fuzziness and Knowledge-Based Systems”*, *“Mathematical Notes”*. პროექტის შექმნას გარკვეული მხრივ საფუძველი დაუდო გ. სირბილადის ავტორობით 2013 წელს „შპრინგერის“ მიერ გამოცემულმა მონოგრაფიამ: *“Gia Sirbiladze, Extremal Fuzzy Dynamic Systems: Theory and Applications, Springer, New York Heidelberg, Dordrech, London”*, რომელიც წარმოადგენს ექსპერტულ ცოდნაზე დაფუძნებული ექსტრემალური პროცესების მოდელირების, ანალიზისა და სინთეზის ახალ მიმართულებას.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა საექსპერტო ცოდნაზე დაფუძნებული ტრანსპორტირებისა და ობიექტების განთავსების ახალი, მრავალკრიტერიუმისანი „ფაზი“ FFLTP -მიდგომა. ეს მიდგომა ითვალისწინებს ტრანსპორტირებისა და ობიექტების განთავსების პრობლემატიკის თანამედროვე, ექსპერტული მონაცემებზე დაფუძნებული მოდელირებისა და სიმულაციის მიდგომებსა და მათი გადაწყვეტის გზებს. აიგო აგრეგირების ახალი ინსტრუმენტი. ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს დისტრიბუციულ ქსელში კანდიდატი საიტების (კანდიდატი მომსახურეობის ცენტრების, საიდანაც შესაძლებელია მომხმარებლებისთვის ოპტიმალური მარშრუტებით მინიმალურ დროში ტვირთების ტრანსპორტირება) შერჩევის ინდექსის მაქსიმიზაციას. შექმნილი ოპტიმიზაციის ამოცანა მრავალკრიტერიუმისანი და შერეული ტიპისაა. ამან FFLTP -მიდგომებსა და კვლევებში საერთოდ ახალ მიმართულება შექმნა. შეიქმნა მიღებული ამოცანის გადაწყვეტის როგორც ზუსტი (მცირე განზომილებების შემთხვევაში), ასევე მიახლოებითი მიდგომები. ამ მიდგომის საფუძველზე შეიქმნა პროგრამული პროდუქტი, რომელიც უზრუნველყოფს ექსტრემალური და რთული მოვლენების შედეგად გზებზე გართულებული გადაადგილების გამო სს-თვის შერჩეული სერვის ცენტრებიდან მომხმარებლებამდე მისვლის ოპტიმალური და სანდო მარშრუტების დაგეგმვას, ამ გეგმით კი მომხმარებლებისთვის მინიმალურ დროში მოთხოვნილი ტვირთების ტრანსპორტირებას. პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციასა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის სახელმწიფო სამსახურებსა, ტვირთების გადაზიდვების კომპანიებსა, სადისტრიბუციო ქსელებსა თუ სხვა კონპანიებს შეუქმნას მხარდაჭერა საჭიროების შემთხვევაში სწრაფი რეაგირებისა და მნიშვნელოვან გეორაფიულ პუნქტებში ტვირთების გადაზიდვის ოპტიმალური მარშრუტების დაგეგმვაში. სისტემაზე მუშაობის პროცესში სისტემის მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ ინფორმაციის მიღების მიზნით ჩართონ დარგის ცნობილი ექსპერტები, რათა მათი ცოდნა გამოყენებული იყოს კონკრეტულ სიტუაციებში პუნქტებს შორის გადაადგილების შესაძლებლობს ხარისხების შეფასებისა და სს-ებისთვის სანდო მარშრუტების აგების მიზნით. პროექტში წარმოდგენილი პრობლემისთვის აიგება ახალი ტიპის შესაძლებლობითი კრიტერიუმი - კანდიდატი საიტების შერჩევის ინდექსის მაქსიმიზაცია. მარშრუტებზე გადაადგილების საერთო დროის მინიმიზაციის კრიტერიუმთან ერთად შეიქმნა ორკრიტერიული ამოცანის რეალიზების ორ ფაზიანი სქემა. ეს მიდგომა წარმოშობს ახალ მიმართულებას და პერსპექტივებს FFLTP -პრობლემატიკაში. ყოველ მიდგომაში, რომელიც სწავლობს FFLTP -ამოცანებს, შეიძლება ჩაიდოს ჩვენი ახალი მეთოდოლოგია და იქ აიგოს ახალი კრიტერიუმები და შეზღუდვები. რაც ექსტრემალურ და განუზღვრელ გარემოში მათ გამოყენებას შემატებს მეტ სანდოობას.

შექმნილია ახალი FFLTP მიდგომის პროგრამული უზრუნველყოფა სახელწოდებით - *ობიექტების განთავსებისა და ტრანსპორტირების ოპტიმალური დაგეგმვის ხელშემწყობი ინტელექტუალური სისტემა - ISS-FLT (Intelligent Support System for facility location and transportation optimal planning)*.

პროექტის შედეგების კომერციალიზაციის პროცესში შევეცდებით გავაფართოვოთ თანამშრომლობა დაინტერესებულ ჯგუფებთან და შევექმნათ სადისტრიბუციო ქსელების ოპტიმიზირებისა და დაგეგმარების ბიურო, რომელიც საქართველოსთვის ტრანსპორტის ასე მოზღვაავების პირობებში ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. იმედია ამას სამთავრობო დაინტერესებაც ექნება.

გ. განხორციელებული პროექტის გავლენა მიმართულების სფეროზე ან მის განვითარებაზე:

პროექტის ფარგლებში აიგო ორ-კრიტერიუმისანი ფაზი-დაყოფის ამოცანა, რომელიც ითვალისწინებს გზებზე წარმოქმნილ სიძნელეებს გადაადგილების თვალსაზრისით. ეს ყველაფერი აისახება ექსპერტულ შეფასებებში - ფაზი-სიდიდეებში. ამ ინფორმაციის ბაზაზე აიგო ახალი ტიპის მიზნობრივი ფუნქცია - *კანდიდატი საიტების მომსახურეობის ცენტრებად შერჩევის ინდექსის მაქსიმიზაცია*. განიხილება შემთხვევა, როდესაც მოდელში გათვალისწინებულია მომხმარებლის სერვისზე არსებული ფაზი- დროის ფანჯრები, მომსახურეობის ცენტრებიდან მომხმარებლებამდე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების მიახლოებითი (ექსპერტულად შეფასებული) დროები და სხვა ფაზი-პარამეტრები (ტვირთმზიდაობა და ა.შ.). შეიქმნა ორ-ფაზიანი ამოცანა. პირველ ფაზაზე ხდება - ახალი მიზნობრივი ფუნქციის კოეფიციენტების

მიღება-გამოთვლა მრავალკრიტერიუმის, მრავალატრიბუტული და ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების ფაზი-მოდელში აგებული ახალი აგრეგირების ოპერატორებით. მეორე ფაზაზე კი გადაწყდა ორ-კრიტერიუმის ფაზი-დაყოფის ამოცანა, აღნიშნული კრიტერიუმისა და მეორე კრიტერიუმის, მომსახურების ჯამური დროის მინიმიზაციით. აგებულია ამოცანის სრული პარეტო-ფრონტი და პარეტოს ოპტიმალური ამონახსნის მიღების სქემა. ამისთვის შეიქმნა კრიტერიუმების რანჟირებაზე დაფუძნებული კომპრომისების ალგორითმი ორკრიტერიუმის ფაზი-დაყოფის ამოცანისთვის. ალგორითმი დაფუძნებულია კნუტის DXL ალგორითმზე და მისი რეალიზაცია წარმოადგენს პარალელურ ვარიანტს. ეს მიდგომა წარმოშობს ახალ მიმართულებას და პერსპექტივებს FFLTP -პრობლემეტიკაში. ყოველ მიდგომაში, რომელიც სწავლობს FFLTP -ამოცანებს, შეიძლება ჩაიდოს ჩვენი ახალი მეთოდოლოგია და იქ აიგოს ახალი კრიტერიუმები და შეზღუდვები. რაც მათ შემატებს მეტ სანდოობას ექსტრემალურ და განუზღვრელ გარემოში.

ჩამოყალიბდა შემოქმედებითი ინტერ-ჯგუფი: ერთის მხრივ - პროექტის შემსრულებლები, და მეორეს მხრივ, სან-სებასტიანის "ზასკეთის ქვეყნის" უნივერსიტეტის ინტელექტუალური სისტემების დეპარტამენტი (ესპანეთი), პროფ. რობერტო სანტანას ხელმძღვანელობით. ჯგუფის მიზანია - FFLTP - მრავალკრიტერიუმის ამოცანების გადაწყვეტა მსოფლიოში აღიარებული მათი მეთოდოლოგიის - „დისტრიბუციული ალგორითმების შეფასების“ ინსტრუმენტებით. ამ მიმართულებით ესპანელებს დიდი გამოცდილება და მაღალი ხარისხის შედეგები გააჩნიათ. იგეგმება ამ ჯგუფის ჩართვა სადისტრიბუციო ქსელების ოპტიმიზირებისა და დაგეგმარების ბიუროს საქმიანობაში კომერციული ინტერ-პროექტების შექმნის მიზნით.

პროექტის ფარგლებში ასევე წარმატებული იყო პროექტის მეორე კოლაბორატორის, პოლონელი აკადემიკოსის, პროფ. ი. კაპრჯიკის მონაწილეობა. მასთან ერთად შემუშავდა პროექტის მთავარი მათემატიკური მოდელი და შემუშავდა მისი გადაწყვეტის გზები. შეიქმნა კოლაბორაციული ნაშრომი, რომელიც დასაბეჭდად გადაეცა იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალს - „The European Journal of Operational Research“.

პროექტის შემოქმედებით ჯგუფს შედეგებიდან გამომდინარე დაემატა რამდენიმე წევრი თსუ-დან და ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიების IT -დეპარტამენტებიდან. დაახლოებით 15 კაცი. მიმდინარეობს მუშაობა Start-up-პროექტის ასაგებად. ვიხილავთ შესაძლო ვარიანტებს და პროექტის მოდულების შესაძლებლობებს.

პროექტის შერულების ფარგლებში მიღებული შედეგები აისახა გამოქვეყნებულ ან გამოსაქვეყნებლად გადაცემულ შემდეგ სტატიებში:

1. **G. Sirbiladze, I. Khutsishvili, O. Badagadze and G. Tsulaia**, Associated Probability Intuitionistic Fuzzy Weighted Operators in Business Start-up Decision Making, Iranian Journal of Fuzzy Systems 15(5) (2018) 1-25.
2. **G. Sirbiladze, I. Khutsishvili, B. Midodashvili**, Associated Immediate Probability Intuitionistic Fuzzy Aggregations in MCDM, Computers & Industrial Engineering 123 (2018) 1-8.
3. **G. Sirbiladze, A. Sikharulidze**, Extensions of Probability Intuitionistic Fuzzy Aggregation Operators in Fuzzy Environment, [International Journal of Information Technology & Decision Making](#) 17(2) (2018) 621-655.
